ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ბ.

საქართველოს ეკლესიის ორგანიზაცია

(ანოტაციები ნაბეჭდი ფურცლიან
ფურცლებით ავტორისგან 1917 წ.
ფოტოებით).

1917 წ.

ფასი ოქრ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზოგადო დებულებანი.

§ 1. საქართველოს ეკლესია არის „ერთის წმიდის კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის“ საფუძველზე დამყარებული სარწმუნოებრივი საზოგადოება, რომელსაც შეადგენენ ყველა მართლმადიდებელნი ქართველნი და აგრეთვე თავისი სურვილისამებრ ის მართლმადიდებელნი არა ქართველნიც, რომელნიც საქართველოს ძველი საკათალიკოზოს საზღვრებში ცხოვრობდენ.

შენიშვნა: მართლმადიდებლობითი სარწმუნეობის მიდება მოწმუნის საკუთარ სინდისზეა დამოკიდებული; ხოლო, რამდენადაც საქმე ბავშვებს შეეფერება, ეკლესიის წევრათ მათი მიდება თუიქ იდან გაეგვანა მშობლებისა და მზრუნველების საქმეა.

§ 2. საქართველოს ეკლესიის მიზანია მი ი წევრების სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მათი ზნეობრივი სრულყოფა ქრისტეს მცნების თანახმად: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქვენი ზეცათაჲ სრულ არს“ (მთ. V, 48).

§ 3. საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელია სხვ ავტოკეფალ ეკლესიისაგან, ესეიგი ჰყავს დამოუკიდებელი იერარქია, სარგებლობს საკუთარის კანონმდებლობისა სამართლის უფლებით და აქვს განსხვავებული საეკლესიო ჩვეულებანი და სამღდელო წესები.

§ 4. საქართველოს ეკლესია იპყრობს თვის წევრებს მხოლოდ სარწმუნოებრივ-ზნეობრივის მხრით და მიზნად არა აქვს შეეხოს მათ როგორც წევრებს სახელმწიფოსას ან რომლისამე პოლიტიკურის ორგანიზაციისას. მზგავსადვე არც სახელმწიფო უნდა ერეოდეს ეკლესიის შინაგან წყობილებასა და ცხოვრებაში; სახელმწიფო ვალდებულია მხლოდ უზრუნველჰყოს ეკლესიის წევრთა სარწმუნოებრივი თავისუფლება და მის დაწესებულებათა ხელ შეუხებლობა, აგრეთრე ამ დაწესებულებათა იურიდიული უფლებანი და მატერიალური მოთხოვნილებანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მართვა-გამგეობა.

§ 5. მართვა გამგეობის მხრით საქართველოს ეკლესია განიყოფა ეპარქიებად და ეპარქიები ოლქებად, ხოლო ოლქები სამრევლოებად.

§ 6. საქართველოს ეკლესიაში შემდეგი ეპარქიებია:

ა) მცხეთისა (სამწყსო: დუშეთის მაზრა). კათედრა მცხეთაში—სვეტიცხოველში, რომლის მწყემსთმთავარი არის „მთავარ ეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარქი". კათალიკოზის რეზიდენცია თფილისშია. მასვე იქვემდებარეებიან (პირდაპირ) საქართველოს ძველი საკათალიკოზოს საზღვრების გარეშე მცხოვრები მართლმადიდებელი ქ რთველებიც.

ბ). ქუთაისისა (სამწყსო: წყალწითელისა და ხონისწყლის ქვემოთ მდებარე ნაწილი იმერეთისა ანუ ქვემო იმერეთი). კათედრა ქუთაისში და მწყემსთმთავრის ბინაც იქვე. მწყემსთავარი იწოდება „ქუთაისის მიტროპოლიტად" ანუ მოკლედ: „ქუთათელად".

გ). თფილისისა (სამწსყო: თფილისისა და ბორჩალოს მაზრები). კათედრა თბილისში, რომლის მწყემსთავარი ცხოვრობს თფილისში და იწოდება: „თფილისის მიტროპოლიტად" ანუ მოკლედ: „თფილელად".

შენიშვნა. თფილელი, როგორც კათალიკოზის უახლოესი ადგილობრივ მღვდელმთავარი, არის მოსაყდრე კათალიკოზისა.

დ) ჭყონდიდისა (სამწყსო: სენაკისა და ზუგდიდის მაზრები). კათედრა მარტვილში, ხოლო ეპისკოპოზის რეზიდენცია ახალსენაკში (ან მარტვილშივე?). მღვდელ მთავრის წოდება: „ჭყონდიდელი".

ე). ალავერდისა (სამწყსო: თელავისა და თიანეთის მაზრები). კათედრა ალავერდში, ხოლო ეპისკოპოსის ბინა თელავში. მღვდელმთავარი იწოდება: „ალავერდელად".

ვ). გელათისა (იმერეთის ნაწილი წყალწითელისა და ხანის წყლის ზემოთ ანუ ზემოიმერეთი). კათედრა გელათში, ხოლო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეპისკოპოსის ბინა ქალაქ ზესტაფონში. მღვდელმთავრის წოდება: „გენათელი".

ზ). ბოდბისა (სიღნაღის მაზრა და ზაქათალის ოლქი). კათედრა ბოდბეში, ხოლო ეპისკოპოსის მუდმივი ბინა სიღნაღში. მღვდელმთავარი იწოდება „ბოდბელად".

Თ). ჯუმათისა (ოზურგეთის მაზრა, ბათუმის მხარე და საერთოდ ჭოროხის ხეობაში მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველობა). კათედრა ჯუმათში, ხოლო ეპისკოპოსის რეზიდენცია ბათუმში. მღვდელმთავრის სახელწოდება: „ჯუმათელი".

Ი). აწყვერისა (ბორჯომის ხეობა ტაშისკარის ზემოთ, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, აგრეთვე ყარსის ოლქსა და არდაგნის მხარეში მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველები). კათედრა აწყვერში (დროებით ზარზმაში), ხოლო ეპისკოპოსის ბინა ახალციხეში. მღვდელმთავრის წოდება: „მაწყვერელი".

Კ). ცხუმისა ან სუხუმისა (სამწყსო: სამურზაყანო და სუხუმის ოლქში მცხოვრები ქართველობა, აგრეთვე სურვილისამებრ აფხაზებიც). კათედრა და ეპისკოპოსის რეზიდენცია სუხუმში. მღვდლმთავარი იწოდება: „ცხუმელად".

ᲘᲐ). ურბნისისა (სამწყსო: გორის მაზრა ტაშისკარამდე და სურვილისამებრ ამივრ კავკასიის ოსებიც). კათედრა ურბნისში, ხოლო ეპისკოპოსის რეზიდენცია გორში. ეპისკოპოსის წოდება: „ურბნელი".

ᲘᲑ). ნიკორწმიდისა (რაჭის მაზრა) კათედრა და ეპისკოპოსის ბინა ნიკორწმიდაში. მღვდელმთავრის წოდება: „ნიკორწმიდელი".

ᲘᲒ). ცაგერისა (ლეჩხუმი და სვანეთი). კათედრა და ეპისკოპოსის ბინა ცაგერში. მღვდელმთავრის წოდება: „ცაგერელი".

შენიშვნა. ამ სიაში კათედრები მათი უპირატესობის მიხედვითაა დაწყობილი. ამ სიის შეცვლა და შევსება სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების კომპეტენციას ეკუთვნის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

§ 7. საქართველოს ეკლესიას მთლიანათ და ნაწილობრივ (ეპარქიას, ოლქსა და სამრევლოს) განაგებენ კრებები (სრულიად საქართველოს ეკლესიისა, საეპარქიო, საოლქო და სამრევლო), რომელთაც აღმასრულებელ ორგანოებად ჰყავს საბჭოები (საკათალიკოზო, საეპარქიო, საოლქო და სამრევლო).



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცენტრალური გამგეობა

§ 8. საქართველოს ეკლესიას განაგებს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელიც შესდგება სამღვდელოთა, მონაზონთა და ერისგანთა წარმომადგენელთაგან. თვითეული საეკლესიო ოლქი ამ კრებაზე ჰგზავნის ერთს მღვდელს, ერთს მთავარ დიაკონს ან წიგნის მკითხველს და ორს ერისგანს; მონაზონთაგან თვითეული ეპარქია ჰგზავნის ორს წარმომადგენელს: ერთს ბერმონაზონს და ერთსაც ქალმონაზონს; თითო წარმომადგენელს ჰგზავნიან აგრეთვე მთელი საკათალიკოზოს საეკლესიო სასწავლებლებიც. ამათ გარდა საეკლესიო კრების აუცილებელ წევრებათ ითვლებიან ყველა ქართველი მღვდელმთავრები.

§ 9. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას თავმჯდომარეობს კათალიკოზი, ხოლო, როცა იგი არ არის, მისი მოსაყდრე, და თუ მოსაყდრეც არ არის, ერთერთი მღვდელმთავარი კრებისავე არჩევით. კრებავე აირჩევს პოეზიდიუმს დანარჩენ წევრებსა და მდივნებს. კრება არის ჩვეულებრივი—სამ წელიწადში ერთხელ და არაჩვეულებრივი—როცა საჭიროება მოითხოვს, კრებას იწვევს საკათალიკოზო საბჭო, კრება კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

§ 10. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების კომპეტენციას ექვემდებარება: ა) ადგილობრივი საეკლესიო კანონმდებლობა; ბ) უზენაესი საეკლესიო სამართალი; გ) საბოლოოდ გარჩევა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საკათალიკოზო საბჭო წარმოუდგენს: დ) არჩევა კათალიკოზისა, საკათალიკოზო საბჭოს და საკათალიკოზო სამართლის წევრებისა და ამათი კანდიდატებისა; ე) ახალი ეპარქიების გახსნა ან არსებულ ეპარქიათა საზღვრების გადამიჯვნა და კათედრების აღდგენა ან დაარსება; ვ) ზრუნვა სასულიე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რო სასწავლებელთა დაარსებისა და ნივთიერად უზრუნველ-ყოფისათვის.

§ 11. საეკლესიო კრების აღმასრულებელი მუდმივი ორგანო არის საკათალიკოზო საბჭო. საკათალიკოზო საბჭო შესდგება რვა წევრისაგან, რომელთაგან ოთხი სასულიერეროა (ორი მღვდელი, ერთი მთავარდიაკონთა ან წიგნის მკითხველთა წარმომადგენელი, ერთი მონაზონთა წარმომადგენელი) და ოთხი საერო. საბჭოს წევრს საეროთაგანს უნდა ჰქონდეს მიღებული მაღალი განათლება, ხოლო კრებულთაგანს არა უმცირეს საშუალო განათლებისა. საბჭოს წევრნი აღირჩევიან საეკლესიო კრების მიერ ექვსი წლის ვადით; ყოველი სამი წლის განმავლობაში ხდება მათი გამოცვლა შემდეგი წესით: პირველად საბჭოდან გადის ოთხი წევრი (ორი სასულიერო და ორი საერო) წილის ყრით, შემდეგში კი—არჩევის უხუცესობის კვალობაზე. საბჭოს თავმჯდომარეობს კათალიკოზ-პატრიარქი, ხოლო როცა კათალიკოზი ავათაა ან სხვაგან სადმეა, მისი მოსაყდრე. დასახელებული რვა წევრის გარდა საბჭოში გადამწყვეტის ხმით მონაწილეობას იღებს ორ-ორი მღვდელმთავარი, რომელნიც გამოიწვევიან ეპარქიებიდან რიგრიგობით ოთხ-ოთხი თვის ვადით. საბჭოს სხდომის დღეებსა და საქმეების განხილვის წესრიგს აწესებს თავმჯდომარე, სხდომა კვირაში ორჯერ მაინც უნდა მოხდეს და ის კანონიერია, თუ შვიდი წევრი მაინც დაესწრება თავმჯდომარითურთ. საბჭოში საკითხი უბრალო ხმის უმეტესობით სწყდება; ხოლო, როცა ხმები თანაბრად იყოფა, მაშინ ის აზრი უპირატესობს, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა. ის დადგენილება, რომლის თანახმა თავმჯდომარე არაა, უკანასკნელის სურვილით შეიძლება საეკლესიო კრებას წარედგინოს, თუმცა ამით მისი სისრულეში მოყვანა არ ჩერდება.

§ 12. საკათალიკოზო საბჭოს სამსახურის მხრით ექვემდებარებიან როგორც მღვდელმთავარნი და სასულიერო პირნი, აგრეთვე საეკლესიო დაწესებულებანი და მათში მოსამსახურენი, ხოლო სარწმუნოებისა და საეკლესიო დისციპლინის მხრით ყოველი წევრი საქართველოს ეკლესიისა. საბჭოს დადგენილებანი სავალდებულოა ყველა დაწესებულებათა და ეკლესიის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წევრთათვის, იმათი შეცვლა შეუძლიან მხოლოდ საბჭოს და საეკლესიო კრებას. საკათალიკოზო საბჭო თავისი ფუნქციების აღსრულების დროს ხელმძღვანელობს საღმრთო წერილით, მსოფლიო და ადგილობრივ (მათ შორის საქართველოს ეკლესიის) კრებათა დადგენილებით და სახელმწიფოში მოქმედ კანონმდებლობით. საკათალიკოზო საბჭოს აქვს დამხმარე ორგანოები: კანცელარია, სამოსწავლო კომიტეტი, სამეურნეო გამგეობა და სამონასტრო გამგეობა; ამათ გარდა საბჭოს ჰყავს იურისკონსულტი.

§ 13. საკათალიკოზო საბჭოს ექვემდებარება შემდეგი საქმეები: ა) ზრუნვა საეკლესიო სწავლა-მოძღვრებისა და ქართული ღვთისმეტყველების აყვავებისა და შეურყვნელად დაცვისათვის; ბ) ზრუნვა სამწყსოთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წარმატებისათვის; გ) საეკლესიო კანონთა და საქართველოს საეკლესიო კრების დადგენილებათა განმარტება; როცა საჭიროება მოითხოვს, ახალი კანონპროექტის შემუშავება და საეპარქიო საბჭოებთან შეთანხმებით, დროებით, მორიგ საეკლესიო კრებამდე, ცხოვრებაში გატარება; კრებას უფლება აქვს დაადასტუროს ან ცარჰყოს ამ წესით ცხოვრებაში გატარებული კანონი; დ) თვალყურის დევნება მის ქვეით მდგომ პირთა და დაწესებულებათა მოქმედებისა; ე) ზრუნვა მონასტერთა, ტაძართა, საქველმოქმედო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა კეთილ-მოწყობისა და წარმატებისათვის; ვ) წინასწარი განხილვა და სათანადო დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობის აღძრვა მონასტერთა, ეკლესიათა, საქველმოქმედო და სამოსწავლო-საგანმანათლებლო დაწეწესებულებათა დაარსების შესახებ; ზ) სათანადო სახელმწიფო დაწესებულებათა ღა თანამდებობის პირთა წინაშე საეკლესიო საქმეთა გამო შუამდგომლობის აღძრვა; ც) ზრუნვა სამღვდელოების ქონებრივად უზრუნველ-ყოფისათვის; თ) ზრუნვა სამსახურიდან გასულ სამღვდელო პირთა, საეკლესიო მოხელეთა და სამღვდელოების ქვრივ-ობოლთათვის; ი) ზრუნვა საღმრთო და საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნთა შედგენისა, შესწორებისა და გამოცემისათვის; ია) მღვდელმთავართა არჩევნების დამტკიცება და მათი სამსახურიდან განთავისუფლება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იბ) რევიზიის დანიშვნა სხვა და სხვა საჭიროებათა და შემთხვევათა გამო; იგ) ეპარქიებისა და საეკლესიო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვის განხილვა-დამტკიცება; იდ) საეპარქიო და სხვა და სხვა საეკლესიო დაწესებულებათა წლიური ანგარიშების განხილვა და მთელი საკათალიკოზოს წლიური ანგარიშის შედგენა კრებისათვის წარსადგენად; იე) საეკლესიო უძრავ ქონებათა შეძენა-განთვისების დამტკიცება; ივ) საბოლოოდ გარჩევა და დამტკიცება საეპარქიო საბჭოთაგან შემოსულ საქმეთა; იზ) ბერობისა და სასულიერო წოდებისაგან განთავისუფლების საბოლოოდ დადასტურება; იც) განქორწინების პროცესის საბოლოოდ განხილვა და დადასტურება; ით) ნებართვა საკათალიკოზოში ნებაყოფლობითი შეწირულების საქველმოქმედო მიზნით შეკრებისა; კ) სხვა ავტოკეფალ ეკლესიებთან ურთიერთობის დაჭერა კა) წინასწარი მუშაობა და განკარგულება სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მოწვევისათვის და აგრეთვე ამ კრებაზე განსახილველ საკითხთა წინასწარი დამუშავება და მასალების შეკრება კბ) ხელმძღვანელობა კათალიკოზის არჩევნებისა; კგ) მიცემა დროებითის თავისუფლებისა, ერთ თვეზე მეტი აადით, ეპისკოპოსებისა საკათალიკოზო საბჭოსა და საკათ ლიკოზო სასამართლოს წევრებისა და საბჭოს დამხმარე ორგანოთა გამგეთათვის; კზ) განხილვა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელნიც საეპარქიო საბჭოებიდ ნ გადმოეცემა.

§ 14. კათალიკოზი, საქეთმპყრობელად ეკლესიისა ითვლება, მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი, რომელსაც ირჩევს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება როგორც სასულიერო, ისე საერო პირთაგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საკათალიკოზო კანდიდატისათვის ბერობის მიღება სავალდებულო არაა. ფიზიკურისა და ზნეობრივის მხრით იგი უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონთა მოთხოვნილებას და უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი საზოგადო განათლება და შესაფერი საღვთისმეტყველო მოამზადება.

§ 15. კათალიკოზ-პატრიარქი არის „პირველი თანასწორთა შორის“ (მოციქ. კან. 34) და მისი კომპეტენცია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეთია: ა) ის თავმჯდომარეობს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას, საკათალიკოზო საბჭოს და საკათალიკოზო სასამართლოს; ბ) მწყემსთმთავრულად მიმოიხილავს საკათალიკოზოს ეპარქიებს და ხელმძღვანელობას უწევს ეპისკოპოსებს საეპარქიო მართვა-გამგეობაში; გ) მის სახელს იხსენიებენ წირვა-ლოცვის დროს საკათალიკოზოს მღვდელმთავარნი და სამღვდელოება; დ) იგი აძლევს დროებითს თავისუფლებას: ეპისკოპოსებს, საკათალიკოზო საბჭოსა და სასამართლოს წევრების და საბჭოის დამხმარე ორგანოთა გამგეებს არა უმეტეს ერთის თვისა, ხოლო საეპარქიო მართვა-გამგეობის ორგანოთა და სასამართლოს თავმჯდომარეებს და წევრებს ორი თვიდან და მეტის. ე) აგრეთვე აძლევს დათხოვნითს სიგელებს იმ ეპისკოპოსებს, რომელნიც ეპარქიიდან დროებით სხვაგან სადმე მიდიან; ვ) როგორც თავმჯდომარე საკათალიკოზო სასამართლისი, იგი იღებს საჩივარს ეპისკოპოსთა, საკათალიკოზო საბჭოს წევრთა, საეპარქიო კრებათა და საეპარქიო დაწესებულებათა (საბჭოსა და სასამართლოს) შესახებ და აძლევს ამ საჩივრებს კანონიერ მსვლელობას; ზ) როგორც თავმჯდომარე საკათალიკოზო საბჭოსი, ის ზრუნავს ეპისკოპოსად დარჩენილ ეპარქიებზე, ხელმძღვანელობს საეპისკოპოსო კანდიდატურის გამოძებნასა და დასახელებას; ც) საჭირო შემთხვევაში, საბჭოს მინდობილობით, ის აძლევს რჩევას და მწყემსთმთავრულ შენიშვნას ეპისკოპოსებსა და საეპარქიო მართვა-გამგეობის ორგანოთა და სასამართლოს თავმჯდომარეებსა და წევრებს; თ) საბჭოსავე მონდობილობით იმას მიწერ-მოწერა აქვს სხვა ავტოკეფალ ეკლესიებთან და სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეპარქიო მართვა-გამგეობა.

§ 16. საეპარქიო მმართველობის მთავარი ორგანო არის საეპარქიო კრება, რომელიც ორგვარია: ჩვეულებრივი წელიწადში ერთხელ და არაჩვეულებრივი—საჭიროებისადაგვარად. კრებას იწვევს საეპარქიო საბჭო და თავმჯდომარეობს ადგილობრივი მღვდელმთავარი; როცა მღვდელმთავარი არ არის, კრება თვითონ ირჩევს თავმჯდომარეს სამღვდელო პირთა შორის. კრებავე ირჩევს პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს და მდივნებსაც. საეპარქიო კრებას შეადგენენ: სამღვდელოთა—მონაზონთა და ერისგანთა წარმომადგენელნი. სახელდობრ: თვითეული ოლქიდან თითო მღვდელი, ერთი მთავარდიაკონი ან წიგნის მკითხველი და ორი ერისგანი, აგრეთვე ორი წარმომადგენელი ეპარქიის მონასტრებისა (ერთი ბერმონაზონი და ერთი ქალმონაზონი) და თითო წარმომადგენელი საეკლესიო სასწავლებლებისა ეპარქიაში.

§ 17. საეპარქიო კრების უფლებას შეადგენს: ა) ეპისკოპოსისა, საეპარქიო საბჭოსა და საეპარქიო სასამართლოს წევრთა და მათი კანდიდატების არჩევა; ბ) თვალყურის დევნება საეპარქიო ცხოვრებისა და საეპარქიო დაწესებულებათა მოქმედებისა; გ) ეპარქიის დანაწილება საოლქოებად, ან არსებულ ოლქთა გადამიჯვნა; დ) ზრუნვა საეკლესიო, სამოსწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსებისა, გაუმჯობესებისა და ნივთიერ საშუალებათა გამონახვისათვის ეპარქიაში; ე). ადგილობრივი საბჭოს მიერ შემუშავებულ წესთა და ინსტრუქციების დამტკიცება.

§ 18. საეპარქიო კრების აღმასრულებელი ორგანო არის საეპარქიო საბჭო. საბჭოს თავმჯდომარეობს ადგილობრივი მღვდელმთავარი, ხოლო, როცა იგი არაა, მაშინ საბჭოს წევრები თვის შორის არჩევენ თავმჯდომარეს (უსათუოთ სამღვდელო პირთაგან). ეპისკოპოსს გარდა საბჭოში შედის რვა წევრი: სამი მღვდელი, ერთი მთავარდიაკონი ან წიგნის მკითხველი და ოთხი ერისგანთა წარმომადგენელი. საბჭოს წევრები ირჩევიან საეპარქიო კრების მიერ სამის წლის ვადით. ამათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელსაც თვით საბჭო მოიწვევს.

§ 19. საეპარქიო საბჭოს კომპეტენციას ექვემდებარება: სარწმუნოების- და ზნეობის დაცვა-გამტკიცებისათვის ზრუნვა ეპარქიაში; ბ) თვალყურის დევნება სამონასტრო და საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობისა ეპარქიაში; გ) განხილვა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საოლქო კრებები ან საოლქო საბჭოები წარმოუდგენენ; დ) თვალყურის დევნება ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და საეკლესიო თანამდებობის პირთა მოქმედებისა ეპარქიაში; ე) განხილვა საკითხისა ახალი ოლქების გახსნის ან არსებულ ოლქთა შემცირებისა გინდ გაყოფისა და გადამიჯვნისა ეპარქიის ფარგლებში; ვ) მოწვევა საეპარქიო კრებისა და ამ კრებაზე განსახილველ საკითხთა წინასწარი დამუშავება; ზ) გაცემა ისეთის დოკუმენტებისა, რომელნიც მორწმუნეთა მოქალაქეობრივ მდგომარეობას შეეხებიან; Თ) საეპარქიო წლიურ ანგარიშის შედგენა საეპარქიო ეკლესიებისა და საკათალიკოზო საბჭოსათვის წარსადგენად; თ) ბერობისა და სასულიერო წოდებიდან განთავისუფლების შესახებ თხოვნის განხილვა და განაჩენის გამოტანა, რომელსაც მოახსენებს საკათალიკოზო საბჭოს; ი) განქორწინების საქმის დაწყება და წარმოება.

შენიშვნა: საბჭოში საქმეები წყდება უბრალო ხმის უმეტესობით. მაგრამ, როდესაც საბჭოსა და მდივანთავრის შორის უთანხმოებაა, მაშინ სადავო საქმე გადაეცემა საკათალიკოზო საბჭოს

§ 20. ეპისკოპოსი. ეპისკოპოსი არის ეპარქიის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ცხოვრების ხელმძღვანელი და განაგებს ეპარქიას საეპარქიო საბჭოსთან ერთად. საეპისკოპოსო კანდიდატს ირჩევს საეპარქიო კრება, ხოლო ამტკიცებს საკათალიკოზო საბჭო და ხელდასხამს კათალიკოზი ეპისკოპოსთა კრებითურთ. საეპისკოპოსო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი განათლება და შესაფერი საღვთისმეტყველო

ლის ყრით გადის საბჭოდან, მაგრამ შეუძლიან მეორედაც არჩეულ იქნას. საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელსაც იწვევს თვით საბჭო.

§ 25. საოლქო საბჭო: ა) ადგენს საოლქო წლიურ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს საოლქო კრებასა და საეპარქიო საბჭოს; ბ) წინასწარ დაიმუშავებს საკითხებს, რომელნიც საოლქო კრებას უნდა წარედგინოს განსახილველად; გ) იწვევს საოლქო კრებას და ხელმძღვანელობას უწევს სამრევლო კრებებს ოლქში; დ) იძლევა საჭირო ცნობებს ოლქის დაწესებულებათა და მოსამსახურე პირთა შესახებ, როცა ამას უმაღლესი საეკლესიო დაწესებულებანი მოითხოვენ; ე) ზრუნავს მოაწესრიგოს კრებულის წევრთა შორის ამტყდარი უთანხმოებანი საძმო შემოსავლისა და საზოგადოდ სამეურნეო საქმეების გამო, აგრეთვე ამავე ხასიათის უთანხმოებანი კრებულის წევრთა და სამრევლო საბჭოებს შორის და სხვ.

შენიშვნა. დაწვრილებითს ინსტრუქციას საოლქო საბჭოებისათვის შეიმუშავებს საკათალიკოზო საბჭო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამრევლო

§ 26 სამრევლო არის ერთის სარწმუნოებრივ-ზნეობრივის მიზნით, ურთიერთ დახმარების აზრით, საეკლესიო მეურნეობით, საკუთარის კრებულის ხელმძღვანელობით, საერთო ტაძრის გარშემო შემოკრებული და ეპისკოპოსზე კანონიერად დამოკიდებული მორწმუნეთა საზოგადოება.

შენიშვნა. სამრევლო იურიდიულ პირს წარმოადგენს.

§ 27 სამრევლოს გახსნა არ შეიძლება, უკეთუ მორწმუნეთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ საკუთარი ტაძრისა და კრებულის შენახვა არ შეუძლია. თვითეულ სამრევლოს უჭირავს განსაზღვრული ტერიტორია, რომლის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს სხვა სამრევლოებთან შედარებით და საეთანადო საეკლესიო მთავრობის ნებართვით.

შენიშვნა: ქალაქებში სამრევლოთათვის ტერიტორიალური პრინციპის დაცვა სავალდებულო არ არის.

§ 28 მრევლად ითვლება ყოველი მორწმუნე, რომელიც განსაზღვრულს სამრევლოს ეკუთვნის, შეტანილია სამრევლო წიგნში და მონაწილეობას იღებს ყველა ხარჯებში, რასაც სამრევლო ეწევა.

შენიშვნა: როდესაც მორწმუნეს ერთი სამრევლოს ტერიტორიიდან მეორისაში უხდება გადასვლა (მაგალ. ქალაქებში), მას შეუძლია, თუ მოისურვებს, წინანდელი სამრევლოს წევრად დარჩეს.

§ 29 ყოველ სამრევლოს აქვს თავისი საკუთრება, რასაც შეადგენენ სხვადასხვა სახელწოდებისა და დანიშნულების თანხები და მათი შემოსავალი, სანთლის მოგება, ტაძარში, სამრევლოში ან სხვაგან შეგროვილი შემოწირულობა სასაფლავოს შემოსავალი, სამრევლო და საკრებულო ადგილმამული და მისი შემოსავალი, ყოველგვარი საგანმანათლებ-

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ და საქველმოქმედო ხასიათის შემოწირულება, საკრებულოდ სახლები, ტაძარი და მისი სამკაული, სასაფლავო და სხვა. ამ საკუთრებას სამრევლო განაგებს შესაფერ ორგანოთა საშუალებით.

შენიშვნა 1. ტაძარი არის მორწმუნეთა სამლოცველო შენობა, სამრევლო, საეკლესიო, სახელმწიფო ანუ კერძო ქველმოქმედთა ხარჯით აგებული. ერთსა და იმავე სამრევლოში შეიძლება იყოს ზედმიწერილი ტაძარი, რომელშიაც, თუ საჭიროება მოითხოვს და მოსახერხებელიც იქნება, სრულდება ეოველდღვარი დვთისმსახურება.

შენიშვნა 2 მიცვალებულთა დასამარხად სამრევლოს მიჩენილი აქვს საგანგებო ადგილი—სასაფლავო. სამრევლოს შეუძლია საფლავებისთვის გახსაზღვრული თასი დაუწესოს, მხოლოდ დარიბები უფასოდ უნდა იმარხებოდენ.

§ 30 როდესაც სამრევლო საბოლოოდ იხურება, მისი ქონება გადადის საქართველოს ეკლესიის კუთვნილებაში; თუ ის სხვა სამრევლოს მიეწერა, იმისი ქონება უკანასკნელის კუთვნილებად იქცევა; ხოლო როდესაც სამრევლოს რომელიმე ნაწილი დამოუკიდებელ სამრევლოდ იქცევა, იმას საერთო ქონებიდან მიეცემა დაკმაყოფილება ძირითადის სამრევლოს გადაწყვეტილებისამებრ.

§ 31 სამრევლოს განაგებს სამრეველო კრება, რომელსაც შეადგენს ყველა მართლმადიდებელი ქალი და კაცი (არა უმცირეს 20-ის წლისა), რომელნიც ამ სამრევლოს საბუთებში არიან ჩაწერილნი როგორც წევრნი სამრევლოისა. კრება არის ჩვეულებრივი—წელიწადში ორჯელ და არა ჩვეულებრივი—საჭიროებისამებრ. სამრევლო კრებას იწვევს სამრევლო საბჭო. კრება უნდა მოწვეულ იქნას იმ შემთხვევაშიაც, როცა ამას მოითხოვს არა უმცირეს სამრევლოის 20-ის სრულ წლოვანის წევრისა. კრება თვითონ ირჩევს თავმჯდომარეს და, თუ საჭიროა, მდივანსაც. კრება კანონიერია, უკეთუ მასზე სამრევლოის ყველა სრულწლოვან წევრთა მესამედი მაინც გამოცხადდება, ხოლო თუ კრება პირველ მოწვევაზე არ შესდგა, მეორედ იგი კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

§ 32 სამრევლო კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) არჩევა კრებულისა და სამრევლო საბჭოის წევრებისა და ამათი კანდიდატებისა, აგრეთვე სამრევლო მოლარისა („უწინდელი „მნათისა"); ბ) ეკლესიისა და კრებულის შესანახი ხარჯების მორწმუნეთა შორის გაწერა გ) სამართალში მიცემა სამრევლო საბჭოის წევრებისა სამსახურის აღსრულების დროს უფლების აღმატებისა და ბოროტმოქმედებისათვის; დ) აღძრვა საქმისა საოლქო ანუ საეპარქიო სასამართლოების წინაშე კრებულის წევრთა შესახებ მათი უთანადო მოქმედებისა და ცუდი ყოფა-ქცევისათვის; ე) ზრუნვა ეკლესიის გამშვენებისა და კეთილმოწყობისათვის; ვ) ზრუნვა სამრევლოს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი სრულყოფისა და მის საგანმანათლებელო-საქველმოქმედო დაწესებულებათათვის; ზ) ზრუნვა საკრებულო სახლისა და სასაფლავოსათვის; ც) დანიშვნა სარევიზიო კომიისიის წევრებისა სამრევლო საბჭოს მოქმედებისა და ანგარიშის განსახილველად; თ) არსებულ სამრევლოს გაყოფის შესახებ შუამდგომლობის აღძრვა; ი) შუამდგომლობის აღძრვა უძრავ-მოძრავი ქონების შეძენისა და განთვისების შესახებ; ია) აღება ისეთის შესხისა, რომელიც სამრევლოს თვიურ შემოსავალს აღემატება; იბ) შუამდგომლობის აღძრვა ტაძრის კაპიტალურად გადაკეთების შესახებ, როცა ტრაპეზის აშლაა საჭირო! იგ) არჩევა დელეგატებისა (საერო პირთაგან) საოლქო კრებისათვის.

§ 33. სამრევლო კრების აღმასრულებელი ორგანო არის სამრევლო საბჭო, რომელიც შესდგება კრებულის ყველა წევრთაგან (მღვდელი, მთავარდიაკონი და წიგნის-მკითხველი), მოლარისაგან („მნათე") და კრებულის წევრებზე ორჯერ მეტ ერისიგანთა წარმომადგენელისაგან, რომელთაც ირჩევს სამრევლო კრება სამი წლის ვადით; ყოველი წლის ბოლოს ამ წარმომადგენელთა მესამედი გამოდის საბჭოდან (პირველად წილის ყრით და შემდეგ არჩევის უხუცესობის კვალობაზე), მაგრამ შეუძლია ხელახლა არჩეულ იქნას სამრევლო საბჭოს თავმჯდომარეობსეკ ლესიის წინამძღვარი, ხოლო როცა იგი არ არის, მაშინ საბჭო თვითონ ირჩევს თავმჯდომარეს თვის შორის. საბჭოს სხდომები იმართება თვეში ერთხელ, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, უფრო ხშარად. საქმეები წყდება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უბრალო ხმის უმეტესობით, ხოლო, როცა ხმები თანაბრად იყოფა, მაშინ თავმჯდომარის ხმა აძლევს უპირატესობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საბჭოს წევრად აგრეთვე მოდარეად ირჩევა როგორც მამაკაცი, ისე დედაკაცი.

§ 34. სემრევლო საბჭოს კომპეტენცია: ა) ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონების მართვა-გამგეობა; ბ) ყოველგვარი სტატისტიკური ცნობის შეკრება, რასაც კი სამრევლოს მართვა-გამგეობისათვის აქვს რაიმე მნიშვნელობა; გ) აკრეფა საეკლესიო გადასახადისა მრევლში და მისი დანიშნულებისამებრ განკარგულება; დ) ზრუნვა ეკლესიისა და კრებულის შესანახ საშუალებათა გასაძლიერებლად; ე) ზრუნვა ტაძრისა და ღვთისმსახურების კეთილ-მოწყობისთვის; ვ) ზრუნვა ქვრივ-ობოლთა და გაჭირვებულთათვის ქველმოქმედების წესით; ზ) აღძრვა საქმისა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ეკლესიასა და მორწმუნეთა სარწმუნოებრივს გრძნობას შელახავენ; ც) მოწვევა სამრევლო კრებისა და წინასწარი დამუშავება იმ საკითხებისა, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს; თ) გამგეობა სამრევლო სასაფლაოსი; ი) სამრევლო ქონებისა და თანხებისა ყოველთვიური შემოწმება; ია) თავისი მოქმედების წლიური ანგარიშის შედგენა, საოლქო საბჭოსა და სამრევლო კრებისათვის წარსადგენად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სამრევლთ საბჭოს აუცილებელი წევრია სამრევლო მოდარე (უწინდელი „მსოთ"), რომელიც აწარმოებს წმინდა სინოდის ოპერაციას, იღებს სამრევლო თანხებს და ინახავს საკრედიტო დაწესებულებებში, აწარმოებს შემოსავალ-გასავლის წიგნსა და ადგენს სამრევლოს შემოსავალ-გასავლის წლიურ ანგარიშს. მოდარეს ირჩევს სამრევლო კრება სამი წლის ვადით.

§ 35. კ რ ე ბ უ ლ ი. კრებულის აუცილებელ წევრად ითვლებიან: მღვდელი და წიგნისმკითხველი, ხოლო, სადაც შეძლებაა, იქ სამრევლოს დიაკონიცა (მთავარი) ჰყავს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. დიაკონი და წიგნის-მკითხველი არიან მხოლოდ თანაშემწენი მღვდლისა და უიმისოდ არავითარი მღვდელმოქმედების შესრულება არ შეუძლიათ სამრევლოში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2, ერთსა და იმავე სამრევლოში ორი მღვდლის ყოფნა სასურველი არ არის; მაგრამ, თუ ამას მოი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თხოვს სამრევლოს სიდიდე და აუცილებელი საჭიროება სამრევლოს შეუძლია თავის წინამძღვარს თანაშემწედ შეჰრე მღვდელი მისცეს.

§ 36. მღვდელი. მღვდელი ვალდებულია: ა) მუდამ თავის მრევლში ცხოვრობდეს და სამრევლო არ დასტოვოს, განსაკუთრებით როცა იქ რაიმე მოარული სენი გაჩნდება და როცა სამრევლოს განსაცდელი რამ მოელის; ბ) განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებდეს საკუთარს ყოფაქცევას, როგორც საზოგადოებაში, ისე თავის სახლში; გ) ასრულოს საზოგადოებრივი ღვთისმსახურება დაწესებულ დროს; დ) მრევლის მოთხოვნილებისამებრ დაუყოვნებლივ ასრულოს საჭირო მღვდელმოქმედება; ე) თვალყური ადევნოს ტაძრისა და საღვთისმსახურო საგნების სისუფთავესა და კეთილშვენიერებას; ვ) თვალყური ადევნოს მრევლში საეკლესიო დისციპლინისა და ზნეობის დაცვას; ზ) როცა სამსახურის დროს ამა თუ იმ საკითხის შესახებ ეჭვი დაებადება, მოვალეა ახსნა-განმარტებისათვის საოლქო ან საეპარქიო საბჭოს მიჰმართოს; ჰ) მის უპირველეს მოვალეობას შეადგენს ეკლესიაში ქადაგება და საზოგადოდ სწავლა-მოძღვრება; თ) მღვდელი მოვალეა ღვთისმსახურების დროს კათალიკოზისა და თავისი ეპისკოპოსის სახელი მოიხსენიოს; ი) აგრეთვე მოვალეა კრებულის სხვა წევრთა საშუალებით საეკლესიო საბუთები აწარმოვოს; ია) თავის სამრევლოში მღვდელს უფლება აქვს სხვა მღვდელს რომლისამე მღვდელმოქმედების შესრულების ნება არ მისცეს.

§ 37 კრებულის წევრებს ირჩევს სამრევლო კრება. რომელსაც ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობას უწევს საოლქო საბჭო თავისი წარმომადგენელის შემწეობით. არჩევის შემდეგ საოლქო საბჭოს წერმომადგენელი შეადგენს საარჩევნო სიგელს, რომელსაც წარუდგენს საოლქო საბჭოს, ხოლო ეს უკანასკნელი თავისი დასკვნითურთ საეპარქიო საბჭოს—დასამტკიცებლად. საეპარქიო საბჭოს უფლება აქვს სამრევლოს დასაბუთებული უარი უთხრას და ახალი კანდიდატის არჩევა მოსთხოვოს.

§ 38 წლოვანებით სამღვდლო კანდიდატი უნდა იყოს არა უმცირეს 30-ის წლისა, სადიაკვნო არა უმცირეს 25-ისა, წიგნის მკითხველად კი 20-ის წლისა და უფრო ახალგაზდაც შეიძლება აირჩიეს. ფიზიკურად სამღვდელო და სადიაკვნო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონების მოთხოვნილებას. რაც შეეხება მათ ზნეობრივ თვისებათა გამოკვლევას, ეს მთლად ამომრჩეველთა ნდობისა და სინიდისის საქმეა; სამღვდელო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული საშუალო საზოგადო განათლება და ყოველ შემთხვევაში არა უმცირეს სრული პროგიმნაზიული განათლებისა. ამავე მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს შეძლების დაგვარად საღიაკვნო კანდიდატები და წიგნის მკითხველნიც, რომელთაც უნდა იცოდენ ღვთისმსახურების წესები და საეკლესიო საბუთების წარმოება, რაც წინდაწინვე (არჩევამდე) უნდა იყოს შემოწმებული რომლისამე საეპარქიო საბჭოსაგან.

შენიშვნა. წიგნის მკითხველად შეიძლება არჩეულ იქნას როგორც მამაკაცი, ისე დედაკაცი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საეკლესიო სამართალი.

§ 39. საქართველოს ეკლესიის სამართალს ექვემდებარება ამ ეკლესიის ყველა წევრი ისეთ საქმეში საეკლესიო სწავლა-მოძღვრებისა, ზნეობრივ ცხოვრებისა, საეკლესიო წყობილებისა და საეკლესიო სამსახურის წინააღმდეგ, რომელთათვისაც საეკლესიო კანონით დადგენილია განსაზღვრული სასჯელი ანუ ზომები ზღვევისა და გასწორებისა.

§ 40. საეკლესიო სამართალი განცალკევებულია საეკლესიო გამგეობისაგან, ე. ი. აქვს საკუთარი ორგანოები, გარდა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისა, რომელიც უზენაესი ორგანოა როგორც გამგეობისა ისე სამართლისა ეკლესიაში. ამ კრების გარდა საეკლესიო სამართალს აქვს კიდევ შემდეგი ორგანოები: საკათალიკოსო, საეპარქიო და საოლქო სასამართლოები.

§ 41. განსაკუთრებული ინსტიტუტი საქმის გამომძიებლისა არ არსებობს, არამედ სასამართლო თვითონ ირჩევს გამომძიებელს თავის წევრთაგან თვითეულ შემთხვევაში. არ არსებობს არც პროკურორის თანამდებობა, არამედ სასამართლოს ერთერთ წევრს მიენდობა საბრალმდებულო ოქმის შედგენა და მოხსენება; ეს წევრი შემდეგ მონაწილეობას აღარ იღებს განაჩენის გამოტანაში.

შენიშვნა. ბრალდებულს ნება აქვს სასამართლოში დაეცველი (ვექილი) დაიხმაროს, მაგრამ თვით სასამართლოსთან დამცველის ინსტიტუტი არ არსებობს.

§ 42. საეკლესიო სამართალი დახურული არ არის, საქმის გარჩევას გარეშენიც ესწრებიან. განაჩენს სასამართლოს წევრები დაადგენენ ბრალდებულის თანდასწრებით, თავისი შინაგანის დარწმუნების თანახმად, და მხოლოდ მას შემდეგ, როცა შემოწმებულ იქნება სასამართლოში წარმოდგენილი საბუთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 43. ყოველი საქმე არსებითად გადაწყდება ორს ინსტანციაში და მესამე ინსტანცია იქნება საკასაციო. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების გაწაჩენი კი საბოლავოა, თუნდაც იქ საქმე პირველის ინსტანციით წყდებოდეს.

საოლქო სამართალი.

§ 44. ყოველ საეკლესიო ოლქს აქვს ერთი საოლქო სასამართლო, რომლის შემადგენლობა ასეთია: თავმჯდომარე უსათუოდ მღვდელი და ოთხი წევრი: ერთი მღვდელი, ერთი მთავარდიაკონი ან წიგნისმკითხველი და ორი ერისგანი, რომელთაც ირჩევს საოლქო კრება სამი წლის ვადით. ყოველი ორიწლის შემდგომ თითო წევრი სამსახურს თავს ანებებს, პირველად წილისყრით და შემდეგ არჩევის უხუცესობის მიხედვით. იგივე კრება ირჩევს სასამართლოს წევრთა კანდიდატებსაც: ერთს სასულიერო და ერთს საერო პირს.

შენიშვნა. სასამართლოს წევრები გაწმეორებითაც შეიძლება არჩეულ იქნან.

§ 45. საოლქო სასამართლოს ექვემდებარება ისეთი საქმეები (§ 39), რომელთათვისაც საეკლესიო კანონით დადგენილია შენიშვნა და დატუქსვა.

საეპარქიო სასამართლო.

§ 46. საეპარქიო სასამართლოს ჰყავს თავმჯდომარე — ადგილობრივი მღვდელმთავარი და ექვსი წევრი: ორი მღვდელი, ერთი წიგნისმკითხველი ან მთავარდიაკონი და სამი ერისგანი, რომელთაც აირჩევს საეპარქიო კრება ექვსი წლის ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი სამი წლის შემდეგ არჩეულ წევრთა ნახევარი სამსახურს თავს ანებებს—პირველად წილის ყრით და შემდეგ არჩევის უხუცესობის მიხედვით.

შენიშვნა. როცა მდვდელმთავარი არ არის, მაშინ სასამართლოში თავმჯდომარეობს ერთი წევრი მდვდელთაგანი თვით სასამართლოს ირჩევით.

შენიშვნა 2. სასამართლოდან გასული წევრი შეიძლება ხელმეორედ არჩეულ იქნას. —სასამართლოს წევრებთან ერთად საეპარქიოს კრება არჩევს მათ განდიდატებსაც: ერთს მდვდელს, ერთ ჭიგნის მკითხველს ან მთავარდიაკონს და ერთს ერთაგანს

§ 47. საეპარქიო სასამართლოს ექვემდებარეებიან: ა) დანაშაულობანი, რომელთათვისაც საეკლესიო კანონით დადგენილია უმძიმესი ზომები: მღდელმოქმედებების შესრულების აკრძალვა, სამსახურიდან გადაყენება და ბ) აგრეთვე საოლქო საბჭოების წევრთა დანაშაულობანი სამსახურის აღსრულების დროს და გ) გასაჩივრებული საქმეები საოლქო სასამართლოებიდან.

საპათალიკოზო სასამართლო.

§ 48. საკათალიკოსო სასამართლოს ჰყავს თავმჯდომარე —კათალიკოზი და რვა წევრი, არჩეულნი სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მიერ ექვსი წლის ვადით: სამი მღვდელი, ერთი დიაკონთა ან ჭიგნის მკითხველთა წარმომადგენელი და ოთხი ერთაგანი. ამათ გარდა საკათალიკოსო საბჭოში მონაზონთა წარმომადგენელიც მონაწილეობს გადამწყვეტის ხმით, როცა საქმე სამონაზონო პირს შეეხება. არჩეული წევრების ნახევარი ყოველი სამი წლის შემდეგ სამსახურს თავს ანებებს—პირველად წილის ყრით და შემდეგ არჩევის უხუცესობის კვალობაზე. როცა საქმე რომელსამე ეპისკოპოზს შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ჯ 37/1

ეხება, მაშინ საქმის გარჩევაში მონაწილეობას იღებენ გადამწყვეტის ხმით ყველა საეპარქიო მღდელმთავრებიც.

შენიშვნა 1. როცა კათალიკოზი არ არის, მაშინ საკათალიკოზო სასამართლოს თავმჯდომარეობს კათალიკოზის მესაუდრე.

შენიშვნა 2. წევრებიან ერთად საეკლესიო კრების მიერ ირჩევიან მათი კანდიდატებიც: ერთი მღვდელი, ერთი წიგნისმკითხველთა ან მთავარდიაკონთა წარმომადგენელი და ორი ერთა-კანი.

§ 49. საკათალიკოზო სასამართლოს ექვემდებარება: ა) დანაშაულობანი, რომელთათვისაც საეკლესიო კანონით დანიშნულია ეკლესიის წევრობიდან გამორიცხვა ბ) საეპარქიო საბჭოების წევრთა და მღვდელმთავართა დანაშაულობანი სამსახურში გ) გასაჩივრებული საქმეები საეპარქიო სასამართლოებიდან აპელაციის წესით და საოლქო სასამართლოებიდან კასაციის წესით.

უზენაესი საეკლესიო სამართალი

§ 50 უზენაესი საეკლესიო სამართალი სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების ხელშია (§ 10 და § 40), რომელსაც ექვემდებარება: ა) კათალიკოზისა და საკათალიკოზო საბჭოს წევრთა უთანადო მოქმედებანი და დანაშაულობანი სამსახურში და ბ) გასაჩივრებული საქმეები საკათალიკოზო სასამართლოდან აპელაციის წესით, ხოლო საეპარქიო სასამართლოებიდან კასაციის წესით.

F 98.470
3